იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ინკლუზიური ბიზნეს-ინკუბატორის დახმარებით ამ მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოში

თათია ბილისეიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია იძულებით გადაადგილებულ პირთა სციალურ-ეკონომიკური მდგომარება საქართველოში. იძულებით გადაადგილებული პირების ქვეყნის სრულ მოსახლეობასთან შეფარდების თვალსაზრისით, მსოფლიოს მასშტაბით საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მონაცემი აქვს. კერძოდ, დევნილთა სამინისტროს ინფორმაციით, იძულებით გადაადგილებული დაახლოებით ამჟამად 277,403 პირია, რომელთა უმრავლესობამაც სტატუსი „იძულებით გადაადგილებული პირი“ თითქმის სამი ათწლეულის წინ მიიღო აფხაზეთიდან, ხოლო ერთი ათწლეულის წინ, 2008 წლის ომის შემდეგ სტატუსის მქონე პირთა სია გაიზარდა. მათი ცოსიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა სამწუხაროდ არაფრით განსხვავდება საქართველოში მცხოვრები არა იძულებით გადაადგილებულ პირთაგან. ლტოლვილები საზოგადოების ისეთივე წევრები არიან, როგორც ნებისმიერი სხვა. თავიანთ სამშობლოში ისინი სწავლობდნენ, მუშაობდნენ, ვითარდებოდნენ და მათი ეს უფლება - განაგრძონ სრულყოფილი ცხოვრება, ისევეა აღიარებული და დაცული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, როგორც საზოგადოების ნებისმიერი სხვა წევრის.

საკვანძო სიტყვები: იძულებით გადაადგილებული პირი, ლტოლვილები, სიღარიბე, დევნილი, შემწეობა, სოციალურ-ეკონომიკური,-მოსახლეობა, ინკლუზიური, სახელმწიფო.

ძირითადი ნაწილი

„იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.“

გავრცელებულია მოსაზრება, რომ დევნილთა ჯგუფები მხოლოდ საკუთარი, კერძო საკითხების მოგვარებასა და დახმარების მიღებაზე არიან ორიენტირებული და პრობლემების განზოგადოებისა და საკუთარი ინტერესების სისტემური დაცვის უნარი ნაკლებად შესწევთ. საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება, სხვა მრავალ მიზეზთან ერთად უმძიმესი ეკონომიკური, სოციალური პირობები, გადატანილი ტრაგედია და სხვა აღრმავებს საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესებიდან დევნილთა ჯგუფების გარიყულობას და მათით მანიპულირებისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის. რეალურად კი დევნილებს გააჩნიათ საკუთარი საჭიროებებისა და პრობლემების მოგვარების ხედვები, მათ სურთ ქონდეთ საკუთარი საცხოვრებელი ადგილი, მიიღონ უკეთესი განათლება, გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები, შეეძლოთ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისას გაწეულ ღონისძიებებში მიიღონდ მონაწილეობა და სხვა.

დევნილი საზოგადოება დღეისათვის ყველა იმ გამოწვევის წინაშე დგას, რომლის წინაშეც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა იმყოფება. ამავე დროს, დევნილებს გააჩნიათ სპეციფიური პრობლემები, რომლებიც მოითხოვენ განსაკუთრებულ მიდგომებს.იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგია,რომლის შემუშავებაში თავად დევნილებიც მონაწილეობდნენ, შედგებოდა ოთხი მიმართულებისაგან -განსახლება, სამართლებრივი, სოციალური, ეკონომიკური და ორიენტირებული უნდა ყოფილიყო მათ ერთდროულ, კომპლექსურ განვითარებაზე. ასეთი მიდგომის შედეგად უნდა მომხდარიყო დევნილთა ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინტეგრაციული პროცესების სტიმულირება. თუმცა, შემდგომში, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ამოქმედების პროცესში, მხოლოდ კომპაქტური ჩასახლებების მცხოვრებ დევნილთა განსახლების მიმართულების რეალიზაციამ, რომელიც ხშირად საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით მიმდინარეობდა, დევნილი საზოგადოების დეზინტეგრაციასა და მათი ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებას შეუწყო ხელი. განსახლების პროცესის შედეგად, დევნილები, რომლებიც კოლექტიურ ცენტრებში მრავალი წელია ცხოვრობდნენ და გარკვეულწილად ინტეგრირებულები იყვნენ მძიმე, მაგრამ უკვე შეჩვეულ გარემოსთან, ჰქონდათ კომუნიკაციური და ეკონომიკური კავშირები, ისევ აღმოჩნდნენ არსებული კავშირების დარღვევისა და ახალ ადგილზე ადაპტაციის გამოწვევის წინაშე. ეს ადაპტაცია საკმაოდ მტკივნეული და ზოგ შემთხვევაში შეუძლებელიც კი აღმოჩნდა, განსაკუთრებით უმწეოთათვის.

განსახლების პროცესი მიმართული უნდა იყოს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე, რაც მოიცავს როგორც ოჯახების გაყოფის ან გაერთიანების რეალურ საფუძვლებს, ასევე სულადობის მიხედვით ფართების გამოყოფის გონივრულ ნორმებს, რომლებშიც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული გენდერული ასპექტი.ხოლო რაც შეეხება ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, როგორც დანარჩენი საზოგადობისათვის, დევნილებისთვისაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემა უინფრასტრუქტურო რეგიონებში ჩასახლებული დევნილებისათვის. სადაზღვევო პოლისი ვერ უზრუნველყოფს აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას.

გაძვირებული კომუნალური გადასახადები დღეს როგორც დევნილებისათვის, ასევე საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვისაც გადაუჭრელი პრობლემაა. კრიტიკულ ზღვარზე მყოფი დევნილი ოჯახებისათვის ახალ დასახლებებში, ასევე საკუთრებაში გადაცემულ რეაბილიტირებულ საცხოვრებელებში, რომელნიც სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო შეპირებული სამუშაო ადგილებით, აუცილებელია დაწესდეს შეღავათები: ზამთარში მოხმარებული ელექტროენერგიისა და გაზის გადასახადი გადავადდეს და გადანაწილდეს ზაფხულის თვეებზე, ან მოხდეს ფულადობრივი პრემიების დარიგება.

სოციალური დახმარება საქართველოში 45 ლარს შეადგენს, სამწუხაროდ ეს თანხა საკმარისი არ არის სოციალური პირობების გაუმჯობებისათვის. არსებობს სამი კატეგორიის ლტოლვილები:

1. ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელში. მათ უმეტესობას არ გააჩნიათ სულადობრივი საზრდოს გარდა სხვა შემოსავალი, საკუთრებაში არსებული

პირობების გაუმჯობესებაც კი არ შეუძლიათ, ვერ ახერხებ მიწების დამუშავებას, საქონლის თუ ფრინველთა შეძენას, სწავლა-განათლებას.

2. ლტოლვილები რომლებმაც მიიღეს ან შეიძინეს საცხოვრებელი ფართები. ასეთ დევნილების უმეტესობა დასაქმებულია ცხოვრების დონეს მაღალია მაგრამ მათი ოდენობა საერთო რაოდენობასთან შედარებით მცირეა.

3. ლტოლვილები რომელებიც როგორც საკუთარ ქვეყანაში ისე სხვა ქვეყანაშიც ლტოლვილებად ითვლებიან. მათ შეძლეს თავი დაეღწიათ ამ გაუსაძლის სოციალურ-ეკონომიკურ მდომარეობას და თავი მიაშურეს მსოფლიოს მაშტაბით შედარებით განვითარებად ქვეყნებს.

საქართველოში არსებული იძულებით გადაადგილებულ კომპაქტურად ჩასახლებულ პირთა საცხოვრებელი:

- წეროვნის დასახლება
- ბათუმის ახალი დასახლება
- ფოთის ახალი რაიონი
- სენაკის სამხედრო დასახლება
- კარალეთის დასახლება
- ხონის სამხედრო დასახლება
- კოდას დასახლება
- გლდანის დასახლება
- წილკნის დასახლება
- კოპიტნარის დასახლება
- გორის დასახლება
- ვერხვების დასახლება(გორი) და სხვა.

დასკვნა

ამრიგად, საქართველოში მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების დონე საგანგაშოა,ომის დროს საკმაოდ ბევრმა დაკარგა როგორც ქონება ასევე ოჯახის წევრი და მიიღეს საკმაოდ დიდი ფსიქოლოგიური ტრამვა.პირველ რიგში სახელმწიფო უნდა შეეცადოს მათ ინტეგრაციას მოსახლეობაში, გაუწიოს ფსიქოლოგიური დახმარება,რომ თავი იგრძნონ სრულუფლებიან წევრად საკუთარ ქვეყანაში. უნდა შეძლონ მათთვის საარსებო მინიმუმის შექმნა, ავარიური შენობების დაცლა და მათი კეთილმოწყობილ ბინებში გადაყვანა, სოცუალური დახმარები გაზრდა, სწავლისთვის ხელშეწყობა, ჯანდაცვისთვის არსებული შეთავაზებების გაზრდა და სხვა.

ამ ეტაპისთვის რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და რეალურია უნდა მოხდეს ინკლუზიური ბიზნესისათვის ხელშეწობა სახელმწიფოს მხრიდან. ტოლვილთა დასახლებებში უნდა შეიქმნას ინკლუზიური ბიზნეს ინკუპატორები, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ შეისწავლონ საქმე და დასაქმდნენ ადგილზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

https://eeas.europa.eu/delegations/japan/38292/node/38292_ka
https://www.google.com/search?
https://georgia.unwomen.org/ka/news/stories/2017/01/access-to-justice-for-internally-displaced-persons
https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244506?publication=5
https://for.ge/view/46456/devnilTa-saministro-uprecedento-reformas-iwyebs.html
https://www.moh.gov.ge/uploads/files/2019/Failebi/27.03.2019-9.pdf

The socio-economic status of IDPs and the improvement of this situation in Georgia through an inclusive business incubator

Tatia Biliseishvili – PhD student
Georgian technical university

Summary

The present paper investigates the socio-economic status of IDPs in Georgia.

Georgia has one of the highest rates of IDPs in the world in terms of the total population of the country.

Specifically, according to the Ministry of IDPs, there are currently 277 403 internally displaced persons, most of whom received IDP status almost three decades ago from Abkhazia, and a decade after the 2008 war, the status of IDPs increased.

Their socio-economic status is unfortunately not much different from that of non-IDPs living in Georgia. Refugees are as much a member of society as any other.

In their homeland they have been educated, worked, developed and have this right - to live a full life, as recognized and protected by the international community as any other member of society.